№ 137 მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. სამშაბათი, ივნისის 22 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 8 მან. 4-ხე გვ. 6 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 150 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლ. უწყ. განცხადება. ნი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვალირს ნიხრზე მეტი 20%. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

შაბათს, ივნისის 26-ს

## სახელმწიფო თეატრი

## საღამო კომპოზიტორ სულხანიშვილის მუსიკისა

შაბათს, ივნისის 26-ს

I

1. ქართული ეროვნული ჰიმნი „ღმერთო ღმერთო“ შესრულებს კაპელა და დიდი სიმებიანი ორკესტრი. კომპ. არაყიშვილის დირიჟორობით.

II

1. ვ. კოტეტიშვილი: „უმხეო კომპოზიტორი“, 2, კომპ. არაყიშვილი. „სულხანიშვილის ხსოვნას“, 3. ალ. ახმეტელი: მოგონება“, 4. გ. ქუჩიშვილი. ლექსი „შენ სამარესთან“.

III

1. სულთა თანა“: შესრ. კაპელა, 2. „მაშ გამარჯვება„ შესრ. კაპელლა, 3. „მესტვირული“, შესრ. კაპელლა. სოლოს შესრ. ცნობილი ბარიტონი მღ. და სალარიძე.

4. „დაიგვიანეს“ არია მწყემსისა ოპ. პატარა კახიდან, შესრ. ივ. სარაჯიშვილი, 5. „ძლივს მარტო დავრჩი“, არია ირაკლისა ოპ. პატარა კახიდან შესრ. მ. ნანობაშვილი, 6. „მო, ზუალო“ უკანასკნელი ნაწარმოები—რომანსი განსვენებულისა, შესრ. ივ. ბიწკინაშვილი, 7. „წმინდაო ღმერთო“ ტრიო ბ. ბ. შაშიაშვილი, გარეკახელი და გურჯანელი, 8. „ტურფავ მოდი“, პირველი ნაწარმოები განსვენებულისა ახალგაზდობაში—შესრ. იგივე ტრიო. 9. „გუთნური“—სიმფონია შესრ. კაპელლა, სოლოს შესრ. ივ. ბიწკინაშვილი, 10. „სამშობლო ხევსურისა“, შესრ. კაპელლა. სოლოს ივ. ბიწკინაშვილი.

IV

1. აპოთეოზი—სცენა ოპ. „პატარა კახიდან“ ქოშის მთაზე ალ. მაისურაძის გუნდი.

**მთელი შემოსავალი გადიდება განსვენებულის ოჯახის სასარგებლოდ.**

დასაწყისი სად. 8-ნახევარ ს.

ბილეთები დღეიდანვე იყიდება თეატრის კასაში

656 3—2 საღამოს გამგე ალ. ახმეტელი

რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის ნებართვით გაიხსნა

## საბანკო კონტორა
## კავკასია და ჰერმესი

ტელეფ. 1—77. ტფილისი თავისუფლების მოედანი, (ერევნ. მოედ. სასტ. „კავკაზის ქვეშ). სატელეგრაფო მისამართი: „კავგერბანკი“.

**ხწარმოებს შემდეგი საბანკო ოპერაციები:**

მიღება ფულისა მინაბარისა და მიმდინარე ანგარიში.
ხესხი და ვექსილების განაღდება.
შესანახად და გადასაგზავნად.
სხვა და სხვა საკომერციო და საბირჟო მონდობილებანი.
კონტორა ღიაა დილის 10—2 ს. და საღამოს 5—7 საათამდე.
ყიდვა და გაყიდვა პროც. ქაღალდებისა და უცხოეთის ვალიუტისა. 1573 7—1

## ოფიციალური განყოფილება

## განკარგულებანი

**იუსტიციის მინისტრისა.**

17 ივნისი 1920 წ., № 191.

რესპუბლიკის მთავრობის ამა წლის ივნისის 10-ს დადგენილების ძალით განთავისუფლებულ იქმნას თანამდებობიდან სოხუმის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგი გრიგოლ ლუკას ძე ზავადოვსკი და დაინიშნოს ამავე სასამართლოს უფროს ნოტარიუსად ამა წლის ივნისის 10-დან.

17 ივნისი, 1920 წ., № 192.

რესპუბლიკის მთავრობის ამა წლის ივნისის 10-ს დადგენილების ძალით დაინიშნა სოხუმის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგად თერგის ოლქის სამხედრო სასამართლოს ყოფილი პროკურორი დავით სპირიდონის ძე სულთანოვი ამა წლის ივნისის 10-დან.

იუსტიციის მინისტრის მაგ. **გ. ჟორდანია.**

**იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორისა.**

17 ივნისი, 1920 წ., № 193.

**განთავისუფლებულ იქმნას:** თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან თანახმად თავისი თხოვნისა იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებელი გიორგი ნიკოლოზის ძე ნიშნიანიძე ამა წლის ივნისის 18-დან,

დეპარტამენტის დირექტორი **გ. ჟორდანია.**

—

**იუსტიციის მინისტრისა.**

17 ივნისი, 1920 წ. № 194.

**ჩაირიცხოს:** იუსტიციის სამინისტროს უწყებაში და დაინიშნოს გუდაუთის უბნის სასამართლოს გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად ყაზანის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის კურს დამთავრებული ისაკ ლაზარეს ძე კუჯავა ამა წლის ივნისის 18-დან.

იუსტიციის მინისტრის მაგ. **გ. ჟორდანია.**

## შტატი.

**1919—1920 წლის, მიწათ-მოქმედების სამინისტროს დაწესებულებათა.**

| №№ რიგზე. | თანამდებობის სახელწოდება. | თანამდებობის პირთა რიცხვი. | თვიური ჯამაგირი თვითეულს. | წლიური ჯამაგირი თვითეულს. | წლიური ჯამაგირი ყველას. |
|---|---|---|---|---|---|
| | | | მ ა ნ | ე თ | ი. |
| | **12. გადასახლების განყოფილება.** | | | | |
| | **ა) კანცელარია:** | | | | |
| 1 | განყოფილების გამგე | 1 | 5000 | 60000 | 60000 |
| 2 | მისი თანაშემწე | 1 | 4000 | 48000 | 48000 |
| 3 | ბუხჰალტერი მესამე ხარისხისა | 1 | 2500 | 30000 | 30000 |
| 4 | საქმის მწარმოებელი | 1 | 2000 | 24000 | 24000 |
| 5 | მისი თანაშემწე | 1 | 1500 | 18000 | 18000 |
| 6 | რეგისტრატორი | 1 | 1300 | 15600 | 15600 |
| 7 | მანქანით გადამწერი | 2 | 1300 | 15600 | 31200 |
| 8 | გადასახლების სარაიონო გამგე | 6 | 3500 | 42000 | 252000 |
| 9 | შიკრიკი | 1 | 1225 | 14700 | 14700 |
| | სულ | 15 | — | — | 493500 |
| | **ბ) ადგილობრივი დაწესებულება:** | | | | |
| 1 | აგენტი | 1 | 3000 | 36000 | 36000 |
| 2 | ავტომობილის მოძრაობის მეთვალყურე | 1 | 3000 | 36000 | 36000 |
| 3 | შოფერი | 1 | 3000 | 36000 | 36000 |
| 4 | მისი თანაშემწე | 1 | 2500 | 30000 | 30000 |
| | სულ | 4 | — | — | 138000 |
| | სულ განყოფილებას | 19 | — | — | 631500 |
| | **2) საიურისკონსულტო განყოფილება.** | | | | |
| 1 | უფროსი იურისკონსულტი | 1 | 5000 | 60000 | 60000 |
| 2 | იურისკონსულტი | 2 | 3500 | 42000 | 84000 |
| 3 | საქმის მწარმოებელი | 1 | 2000 | 24000 | 24000 |
| 4 | მანქანით გადამწერი | 1 | 1300 | 15600 | 15600 |
| | **საიურისკონსულტო ნაწილი ქუთაისში.** | | | | |
| 1 | იურისკონსულტი | 1 | 3500 | 42000 | 42000 |
| 2 | საქმის მწარმოებელი | 1 | 2000 | 24000 | 24000 |
| 3 | შიკრიკი | 1 | 1225 | 14700 | 14700 |
| | სულ | 8 | — | — | 264300 |
| | **4. ბუხჰალტერია.** | | | | |
| 1 | უფროსი ბუხჰალტერი | 1 | 5000 | 60000 | 60000 |
| 2 | ბუხჰალტერი-ინსტრუქტორი | 1 | 4000 | 48000 | 48000 |
| 3 | ბუხჰალტერი მეორე ხარისხისა | 3 | 3500 | 42000 | 126000 |
| 4 | „ მესამე „ | 6 | 2500 | 30000 | 180000 |
| 5 | მოანგარიშე | 4 | 1800 | 21000 | 86400 |
| 6 | რეგისტრატორი | 2 | 1300 | 15600 | 31200 |
| 7 | მანქანით გადამწერი | 1 | 1300 | 15600 | 15600 |
| | სულ | 18 | — | — | 547200 |
| | **5. სასოფლო-სამეურნეო და სახელმწიფო მამულების განყოფილება.** | | | | |
| | **1) კანცელარია.** | | | | |
| 1 | განყოფილების გამგე | 1 | 5000 | 60000 | 60000 |
| 2 | სასოფლო-მეურნეობის ინსპექტორი | 3 | 4000 | 48000 | 144000 |
| 3 | მდივანი | 1 | 3500 | 42000 | 42000 |
| 4 | უფროსი სპეციალისტი | 2 | 3500 | 42000 | 84000 |
| 5 | სპეციალისტი და კონსულტანტი | 7 | 3000 | 36000 | 252000 |
| 6 | ინსტრუქტორი | 3 | 1400 | 16800 | 50400 |
| 7 | მანქანით გადამწერი | 4 | 1300 | 15600 | 62600 |
| 8 | სტატისტიკოსი | 1 | 1300 | 15600 | 15600 |
| 9 | რ გისტრატორი | 2 | 1300 | 15600 | 31200 |
| 10 | შიკრიკი | 2 | 1225 | 14700 | 29400 |
| | სულ | 26 | — | — | 771000 |
| | **2) ხაცდელი საქმის სექცია.** | | | | |
| 1 | სექციის გამგე | 1 | 3500 | 42000 | 42000 |
| 2 | საქმის მწარმოებელი | 1 | 2000 | 24000 | 24000 |
| | სულ | 2 | — | — | 66000 |
| | **ბ) ტფილისის ბოტანიკური ბაღი.** | | | | |
| 1 | დირექტორი | 1 | 4050 | 48600 | 48600 |
| 2 | უფროსი ბოტანიკი | 1 | 3500 | 42000 | 42000 |
| 3 | ბოტანიკი-ფიზიოლოგი, მემინდვრეობის სელექტორი, ენტომოლოგი, პირველი სპეციალისტი ყვავილოვან მცენარეებისა | 4 | 3500 | 42000 | 168000 |

1920 წ. ივნისის 8-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

## არა ოფიციალური განყოფილება

## მიწათ-მოქმ. სამინისტროში

**ბორჯომის მამული.**

ბორჯომის სახელმწიფო მამულის მიერ განზრახულია მამულის სამეცნიერო აღწერის გამოშვება. ეს ნაშრომი იქნება ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე. გამოცემის მიზანია: მისცეს მკითხველს საქართველოს ერთ უძვირფასეს კუთხის დაულეველ სიმდიდრის და ბუნებრივ რესურსების მთლიანი სურათი. გამოცემაში იქნება მრავალი სურათები, რომელთათვის უკვე 40 კლიშე არის დამზადებული. პირველად იგი ქართულ ენაზე გამოიცემა.

**საქართველოს ბუნების დაცვა.**

ცხოველთა კლიმატიზაციის კავკასიის საზოგადოებამ დამფ. კრების პრეზიდიუმს წარუდგინა რეზოლიუცია საქართველოს ბუნების დაცვის შესახებ. ამ რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ საქართველოს ცოცხალი და მკვდარი ბუნება საფრთხეშია, ვინაიდან ტყე ნადგურდება და ცხოველები იხოცება. საჭიროა ამისათვის ყველა ზომების მიღება ბუნების დასაცავად და საქართველოს ტერიტორიაზე ბუნების რიგ ძეგლების შექმნა, რომელთა დაცვაც სახელმწიფომ უნდა იკისროს. ამისათვის საჭიროა კანონმდებლობითი გზით იქნეს მთელი რიგი დაცვითი ზომებისა შემუშავებული, რისთვისაც უნდა დაარსდეს უმა.

ლესი ორგანო სახელმწიფო კომისიის სახით, რომელსაც ბუნების დაცვა დაევალება. მასთან ერთად საჭიროა საქართველოს ცხოვრებთადმი განსაკუთრებულ მოწოდებით მიმართვა, რომ მათ დაიცვან და შეინახონ ნაციონალური ბუნების ძეგლები. შემდეგ რეზოლიუციაში აღნიშნულია 17 ისეთი ადგილი, სადაც ადამიანს არავითარ შემთხვევაში და არასოდეს არ უნდა ექნეს უფლება ბუნების ცხოვრებაში შეჭრისა, ე. ი. არ უნდა ექნეს ტყის მოჭრის, ნადირობის, თევზის ჭერის და სხ. უფლება.

**ტყის გაჩეხვა.**

ტფილისში დაარსდა სადარაჯო, რომელსაც ევალება გასინჯვა ნებართვისა ტყის გაჩეხვის შესახებ, რომელიც ტფილ. მტკვრით ტივის სახით მოაქვთ გორის, ახალციხის და ახალქალაქის რაიონებიდან.

**ტყის წარმოება.**

1920 წლის იანვრიდან პირველ ივნისამდე ტფილისში შემდეგი ტყის სახერხი ქარხნები მუშაობდა: კერძო 8, სამხედრო 1, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების 1, დახერხილია კერძო ქარხნებზე 77,000 კვ. გოჯი, სამხედრო ქარხანაზე 23,000 კვ. გოჯი და ოფიც. ეკონომიურ საზოგადოების ქარხანაზე 40,000 კვ. გოჯი. მიმდინარე წლის განმავლობაში სამხედრო ქარხნების მიერ გამოშვებულია სამხედრო უწყებებზე 60,418 კვ. გოჯი დაწესებულებებზე 25074 კვ. გოჯი და კერძო პირებს 5465 კვ. გოჯი.

# სამხედრო ცნობა

**მთავარი შტაბიხა, ტფილისი 20 ივნისი**

როყის მიმართულებით 19 ივნისს მტერს სდევნის დროს წავართვით 2 ტყვიის მფრქვეველი.

სხვა მიმართულებებზე სიწყნარეა.

**21 ივნისი**

როყის მიმართულებით 20 ივნისს ჩვენმა ჯარებმა სოფ. როყი დაიკავეს. მტერს წავართვით 2 ტყვიის მფრქვეველი. ქედის მიმართულებით ონის მხრივ ჩვენმა ჯარებმა სოფ. ჩასავალი დაიკავეს და უღელტეხილისაკენ წინ მიიწევიან.

სხვა მიმართულებებზე სიწყნარეა.

# დეპეშები

**(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)**

**მოსკოვის ცნობები.** ოდესა, ივნისის 19. ინგლისი უარს აცხადებს უკრაინის მთავრობის აღიარებაზე. ბონარ-ლოუმ ოფიციალურად განაცხადა, რომ უკრაინის მდგომარეობა არავითარ საფუძვლებს არ იძლევა უკრაინის მთავრობის აღიარებისასო.

**ოდესა,** ივნისის 19. ვრანგელმა ბრძანება გამოსცა, სადაც დენიკინის ჯარის ყველა ოფიცრებს რომლებიც ბოლგარეთში იმყოფებიან, მიმართავს დაუყონებლივ გამოცხადდენ სევასტოპოლში ჯარის შესავსებათ.

**ოდესა,** ივნისის 19. სერბიასა და ბულგარეთს შორის დაიდო ფარული კავშირი საბერძნეთის წინააღმდეგ.

**ფრანგული პრესა.**

დეპუტატთა პალატამ ითათბირა მაროკკოს სამხედრო ბიუჯეტის შესახებ.

მილიერანმა განაცხადა მაროკკოს ფოსვატებზე გადასახადების დაწესების შესახებ.

გახსნილი კარების პოლიტიკა, რომელიც ალჟირის ხელშეკრულებითაა დამყარებული მაროკკოში მხოლოდ გერმანიის მიმართ არ ხორციელდება, ინგლისისათვის და ამერიკისათვის კი არსებობს.

პარიზში მოვა ამერიკის 70 დელეგატი, რათა საერთაშორისო სავაჭრო პალატის დაარსების კონფერენციას დაესწრენ.

პალატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ლუი ბარტუ მთავრობის წარმომადგენლად იქნება პრაგაში ამ თვის დამლევს. შევარდენის დღესასწაულებზე მუნიციპალური საბჭოს თავის წარმომადგენელს გზავნის.

პალატის საგარეო საქმეთა კომისია პარასკევს ბარტუს თავმჯდომარეობით შეიკრიბა და მოუსმინა საგარეო საქმეთა პოლიტიკურ საქმეების დირექტორ ბერტელოს, რომელმაც დაახლოვებითი ცნობები წამოაყენა 1916 წლის შეთანხმების შესახებ, რომელიც მცირე აზიას შეეხება.

ვარშავიდან იუწყებიან: მანევრის წყალობით, რომელიც წინასწარ გამომუშავებულ გეგმით შესრულდა, პოლონეთის ქვეითი და ცხენოსანი რაზმები რადომისლის მხარეში გარს შემოერტყენ და დაამარცხეს ბუდენნის არმიის დივიზია წამოიყვანეს 800 ტყვე და ხელთ იგდეს 8 ზარბაზანი. „პტი პარიზიენის" ცნობით ეს ბუდენნის ის ცხენოსანი კორპუსია, რომელმაც აიძულა პოლონეთის არმია კიევის ევაკუაცია მოეხდინა.

ოსმალეთის დელეგაციამ კიდევ ითხოვა 15 დღის ვადა საზავო ხელშეკრულებაზე პასუხის გასაცემათ.

შაბათს ბორდოში გაიხსნა იარმუკა.

გენუის კონფერენციამ გადასწყვიტა დანიშნოს კომისია ბავშვთა შრომის საკითხის შესასწავლად (დამახინჯებულია) მან გამოიტანა აგრეთვე დადგენილება ფინეთის კონფერენციისადმი შეერთების შესახებ.

პირველი გამოფენა სამხატვრო საგნებისა და საბუთებისა, რომელიც შეეხება საერთაშორისო ომს და რომელიც საფრანგეთის მოკავშირეებისა და ცენტრალურ სახელმწიფოებს ეკუთვნის, შესდგება პარიზში 15 ივლის და 15 ოქტომბერს შუა.

27 ივნის დაიწყება საჰაერო დამოკიდებულება საფრანგეთსა და ისპანიას შორის. საზოგადოებრივ მუშაობას მინისტრები საფრანგეთისა და ისპანიისა, მოწვეულნი არიან ამ ცერემონიაზე.

**მოსკოვი ც. ე. ქ. ა. ბ. ბ. ბიულეტენი.**

**მოსკოვი** 21. სამხედრო ცნობები. პოლოცკის სამხრეთ-დასავლეთით რკინის გზის რაიონში ჩვენ უკუ ვაგდეთ მტრის რამდენიმე შეტევა. რეჩიცის რაიონში ჩვენმა ჯარებმა მტრის გაძლიერებული სროლის დროს გადალახეს დნეპრი და ძლიერი შეტევით დაიკავეს რეჩიცა ჩვენი წინსვლა გრძელდება, კოროსტენის მიმართულებით ჩვენ მტრის შევიწროებას განვაგრძობთ. პროსკუროვის მიმართულებით ჩვენი ნაწილები ვინიცის დაკავების შემდეგ პოლონელებს მისდევენ.

**ხარკოვი.** გადაწყვეტილია მობილიზაცია გაუკეთონ ქალებსა და ახალგაზრდობას შაქრის პლანტაციების დასამუშავებლად.

ვიტებსკის გუბერნიის სამაზრო ქალაქში საგუბ. ტრიბუნალის სესიამ განიხილა 20 საქმე დეზერტირებისა და ყაჩაღობის შესახებ. ერთ დამნაშავეთაგანს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს.

**ახალი რეფორმა** დ. ც. ა. კ. ფინანსთა სახალხო კომისრის მოხსენებით ამგვარი რეზოლიუცია მიიღო. ფინ. სახ. კომ. მოქმედებს, რომელიც უმთავრესად გამოიხატა წინანდელ სახელმწიფო ბიუჯეტის ერთ რ. ს. ფ. ს. რ. საერთო მეურნეობათ გადაქცევაში საერთოდ სთვლის თანახმად რ. ს. კ. ს. რ. სამეურნეო და ადმინისტრატიულ განვითარების ძირითად მიზნებისა, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი საჭიროდ სთვლის დაავალოს სახალხო კომისარიატებსა და სხვა ცენტრალურ ორგანოებს. რომ ხარჯთ-აღრიცხვის დარგში 1921 წლიდან დაწყებული მათ თავისი ხარჯთ-აღრიცხვანი შეადგინონ იმ მასალის მიხედვით, რომელსაც ადგილებიდან წარმოადგენენ.

# ტფილისის საინფორმაციო ბიუროს ცნობა.

**კონსტანტინოპოლი.** ოსმალეთის მთავრობა აქვეყნებს ევროპაში ცხოვრების გაძვირების სტატისტიკურ ცნობებს. ომის დროს, დიდი სიძვირის პერიოდში, პირველ საჭიროების ნივთები გაძვირდა 1900 პროც. ამ ჟამად გაძვირების პროცენტი 1335-მდე მივიდა. მაგრამ ევროპაში ისეთი სიძვირე არ ყოფილა, როგორც ოსმალეთში. ამ ჟამად სტატისტიკური ცნობების თანახმად, რომელიც სპეციალმა კომისიებმა გამოიმუშავეს საფრანგეთში და ინგლისში სიძვირე შემდეგ ნაირად გამოიხატა.

საფრანგეთი—1920 წლის დასაწყისში 1917 წელთან შედარებით, პარიზში ცხოვრება გაძვირდა 155 პროც., დიდ პროვინციალურ ქალაქებში კი 201 პროც.

**გერმანია.** ოჯახის საშუალო ბიუჯეტი ომამდის არსებულზე 240 პროც., გაიზარდა. პროვინციალურ ქალაქებში ცხოვრება გაძვირდა 500 პროც.

**ინგლისი.** სანოვაგის ფასმა ომამდის არსებულ მდგომარეობასთან შედარებით 125—130 პროც. აიწია.

**ამერიკა.** 1914 წელთან შედარებით სანოვაგე გაძვირდა საშუალოთ 88 პროც.

**შვეცია.** ცხოვრება 181 პროც. გაძვირდა. მილანში გაძვირების პროცენტი 295 შეადგენს. მაგრამ სტატისტიკა აღნიშნავს, რომ საზოგადოთ მილანში უფრო ძვირი ღირდა ცხოვრება, ვიდრე იტალიის სხვა ქალაქებში. აღმოსავლეთის სავაჭრო რევიუ აღნიშნავს, რომ შეუძლებელია სიძვირის პროცენტების გამონაგარიშება რუსეთში, სადაც ფასები საშინლად აწეულიაო. სტატისტიკებს არც კი აქვთ საკმარისი მეთოდი ამის გამონაგარიშებისაო.

**ბოლშევიკები სპარსეთში.** რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კავკასიის განყოფილება იხსნება სპარსეთში. მთავარი განყოფილება რეშტში იქნება. აქვე ფიქრობენ კომუნისტური ლიტერატურის გამომცემლობის საქმის ფართეთ მოწყობას.

**პარიზი.** გაზ. „ტანში„ დაბეჭდილია წერილი სათაურით „დამოუკიდებელი საქართველოს" ამ წერილში პარალელია გავლებული რუსეთისა და საქართველოს დემოკრატიის შორის. იმ დროს, სწერს წერილის ავტორი გ. ჟანტიზენი, როდესაც რუსეთში ბოლშევიკებმა გაანადგურეს მთელი სახელმწიფო აპარატი, დაანგრიეს მრეწველობა, კულტურა და ფეხქვეშ გასთელეს თავისუფლება—საქართველოს დამოკრატიამ შესძლო შექმნა ნამდვილი სახელმწიფოსი სწორი სახელმწიფო მართველობით.

**პარიზი.** საქართველოში დაცულია ყველა უფლება და პიროვნების ხელშეუხლებლობა. არ არის მონობა და ამიტომ ადვილი განსახორციებელია ყოველივე საქმე-კომერციული იქნება ის თუ განმანათლებელი, თუ სავაჭრო. აქ მოწყობილია რეგულიარული ჯარი, შემოღებულია წინად არყოფილი მუნიციპალური მართველობა გახსნილია შკოლები და უნივერსიტეტები. იმ დროს, როდესაც რუსეთის რევოლიუციამ გვაჩვენა უსრულობა და არ ცოდნა რუსეთის დემოკრატიისა რომ მას შეექმნა და დაეცვა ესა, თუ ის მართველობის ფორმა, საქართველოს დემოკრატიამ თავისი ბელადების, ჟორდანიას, წერეთლის, ჩხენკელის და სხ. მეთაურობით შესძლო შეეყვანა ევროპისაგან დავიწყებული პატარა ხალხი დასავლეთის ხალხთა ოჯახში და იქ თავისი ადგილი დაეკავებია. საუკუნის განმავლობაში საქრთველო ჩრდილში იმყოფებოდა. მაგრამ ხალხმა შეიძლო თავისი კულტურის შენახვა. სწორეთ ამის წყალობით საქართველომ თავის არსებაში გამოსძებნა ძალა, რომ იგი ბოლშევიკების აგიტაციას არ დამორჩილებოდა, ერთი მიზეზთაგანი, რომ, საქართველო ბოლშევიკებისაგან არ დაინგრა ეს ის არის, რომ საქართველოს გლეხებს და მემამულეებს ქონდათ ერთი ენა და არ იყო ის საუკუნებრივი სიძულვილი და შურის ძიების სურვილი, როგორც ეს რუსეთში ემჩნეოდა. და ბოლოს, საქართველოში მუშათა ელემენტი ბევრად მაღლა სდგას კულტურულად რუსეთის გლეხზე. ასე დაიბადა ახალგაზრდა საქართველო, ძლიერი თავისი ეროვნული სულით. ხალხი ბედნიერია თავისი დამოუკიდებლობით. ყველგან ისმის ქართული ენა. რუსეთის დროშა შეცვლილა საქართველოს ეროვნული დროშით. ტფილისი ინახავს თავის კულტურულ, ნახევრად აზიურ სახეს. საქართველოს მთავრობა იჩენს აუცილებელ გონიერებას და გვერდს უვლის ყველა იმას, რაც სოციალურ მძულვარებას გამო იწვევს. ბოლშევიზმის ყოველივე უკიდურესობანი, ეს სისხლიანი საყვარელი ფორმულები ლენინისა და ტროცკისა, საშინელ წინააღმდეგობას ხვდება საქართველოში: „წერილი თავდება აღნიშვნით: თუ შესაძლებელია გამართლება იმ არეულობისა და საშინელებისა, რომელიც რუსეთში ხდება, ის შეიძლება გავამართლოთ მხოლოდ იმით, რომ ყოფილ იმპერიის კულტუროსან ერებს და მათ რიცხვში საქართველოს, შეძლება მიეცა თავისუფალი განვითარებისა.

**ბაქო.** დამტკიცდა ვოლგის გაღრმავების მიწის სათხრელ მუშაობის გეგმა. ამ გეგმის განსახორციელებლად საჭიროა 85,000 ფუთი ნავთი.

# უცხოეთი

**ტფილისის საინფორმაციო ბიუროს ცნობები**

**ჩ ე ჩ ნ ე თ შ ი**

მდგომარეობა გამოურკვეველია, მაგრამ ყოველ წუთში მოსალოდნელია აჯანყების დაწყება. საბჭოთა მთავრობას ჩეჩნები ეჭვის თვალით უყურებენ. ხშირი რეკვიზიციების გამო აღშფოთება იზრდება. მთებში ბევრი ბოლშევიკებისაგან გაქცეული ოფიცრები და ყაზახები იმალება. ჩეჩნებს დიდძალი იარაღი და საომარი მასალა დამალული აქვთ.

**ი ნ გ უ შ ე თ შ ი**

დამოკიდებულება ინგუშებსა და საბჭოთა მთავრობას შორის თანდათან მწვავდება. ინგუშები კავკავში სულ აღარ ჩნდებიან. მიუხედავად ამისა კავკავში კიდევ მოქმედებს ინ. გუშეთის რევკომი. მათ მიერ დაწყებულმა განიარაღებამ მიზანს ვერ მიაღწია. მთებში შეიარაღებული რაზმები იკრიბებიან, თუმცა ჯერ მნიშვნელოვანი შეტაკება არ ყოფილა.

**კ ა ვ კ ა ვ შ ი**

საბჭოთა გაზეთები ირლანდიაში მოხდარ არეულობის შესახებ იუწყებიან: ზოგიერთი წარმოება გაიფიცა. ქალაქის ქუჩებში შეტაკება ხდება მუშებსა და ჯარს შორისო.

სამხედრო რევოლ. ტრიბუნალმა დაასრულა კომუნისტ ოლენიკოვის საქმის განხილვა, რომელსაც ბრალდებოდა მოხალისეთა ოფიცერის სიკვდილი, კონტრ-რევოლიუციონერთა კეთილ მსურველის დაჭრა, სახაზინო ცხენების გაყიდვა და სახაზინო ფულების გაფლანგვა. თავის განაჩენში ტრიბუნალი აღნიშნავს: ვიღებთ რა მხედველობაში ბრალდებულის სასარგებლო მუშაობას წარსულში, აგრეთვე იმას, რომ მის მიერ მოკლული და დაჭრილი მუშების და გლეხების მთავრობის მტრები იყვნენ, ტრიბუნალი ოლენიკოვს დამნაშავეთ სთვლის მხოლოდ დანარჩენ ბრალდებულებში და ამიტომ მიუსაჯეს მას ოცი დღე და ღამის განმავლობაში ყარაულს ქვეშ ჯდომა.

**ე რ ე ვ ა ნ შ ი**

ახლო მომავალში განზრახულია სომხურ სახალხო პარტიის ყველა ადგილობრივ და ცენრტ. კომიტეტის ყრილობა. უმთავრესი საკითხი, რომელიც ამ ყრილობაზე ვაირჩევა არის ოთხი სომხების პარტიის სახალხო პარტიის რამტოვარების განახლებულ ჰინჩაკისტების და აზოტაკანის ახალი პარტიის ერთ პარტიაში გაერთიანება. ყრილობა ერევანში იქნება მოწვეული.

**კონსტანტინოპოლში.**

უნგრეთის საბჭოს პრეზიდენტმა სიმონ სემადანმა ოფიციალურ აუდენციაში უკრაინის მისიის თავმჯდომარე ზალაგანი მიიღო. აუდენციას მეგობრული ხასიათი ჰქონდა.

**ნოვოროსიის აღება**

ბათომში ინგლისის მისიამ მიიღო ცნობები ვრანგელის მიერ ნოვოროსიისა და ტუაპსის აღების შესახებ.

# ახალი ამბები

**სალამი ჯარსა და გვარდიას.** რესპუბლიკის ქალაქთა წარმომადგენლების მესამე ყრილობა მიესალმება ჩვენი რესპუბლიკის მტკიცე დარაჯს საზღვრებისას, ერდგულ და თავდადებულ დამცველს საქართველოს სიამაყეს შეიარაღებულ ძალას, ჯარს და გვარდიას, უსურვებს მას ბრწყინვალე გამარჯვებას ვერაგულათ შემოსეულ მტერზე.

— ქსნის რაიონის პირველ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა მხურვალე სალამს უძღვნის სახელოვან ჯარს და გვარდიას, გაუმარჯოს მათ მარჯვენას, გაუმარჯოს საქართველოს.

**ხან-ხოილის მკვლელობა.** მეორე უბნის კომისარმა შაბათს ტფილისის ქალაქის მილიცას, ქალაქის თავს, საოლქო სასამართლოს პროკურორს, პროკურორის ამხანაგს და 1 უბნის გამომძიებელს შემდეგი აუწყა: დღეს, ღამის 11 საათზე ბოროტგამზრახველებმა ფეოდოსიის ქუჩაზე რევოლვერით მძიმეთ დასჭრეს ადერბეიჯანის ყოფილი მინისტრი ხან-ხოილი. გამოძიება სწარმოებს. მიღებულია ზომები ბოროტგამზრახველების აღმოსაჩენათ. ფეოდოსიის ქუჩაზე მომხდარ ბოროტების შესახებ დაუყონებლივ აუწყეს მთავრობის წევრებს. გაიცა კატეგორიული განკარგულება, რაც შეიძლება დაწვრილებით გამოიძიონ და გამოარკვიონ მკვლელობის ამბავი. როგორც კი გამოძიება დასრულდება მოყვება მთავრობის ცნობა ამ საქმის შესახებ.

დაახლოებით 12 საათზე შაბათს ხანხოილი მიიყვანეს მიხეილის საავათმყოფოში. ის არ მოსულა გონებაზე და გარდაიცვალა 20 ივნისს დილის 4 საათზე. გამოასვენეს დილის 11 საათზე 21 ივნ. გარდაცვალებული მაჰმადიანთა სასაფლაოზე დაასაფლავეს.

ხანხოილის თანამგზავრი ქალიღ ბეკიშახმამედოვი მსუბუქათ დაიჭრა და მისი მდგომარეობა უმჯობესდება.

**ინვალიდთა საერთაშორისო ყრილობა.** რუსეთის ინვალიდთა ყრილობის კომისია, რომელიც ტფილისში ჩამოვიდა საგარეო საქმეთა სამინისტროს ეწვია. კომისიას სურს ამიერ-კავკასიაში საერთაშორისო წითელ ჯვრის წარმომადგენელთან დამოკიდებულება დაიჭიროს. კომისიის წევრები გადმოგვცემენ, რომ ისინი გამოვიდენ ეკატერინოდარიდან გოლოვინკაზე, შემდეგ არმავირით ტუაპსეში, აქეთ წამოვიდენ რკინის გზით, რომელიც ამ რაიონში უკვე აღდგენილია. სოჭისაკენ მატარებელი არ არის რადგან გოლოვინკასთან ხიდი დანგრეულია. ხიდის შეკეთება რამდენიმე დღის საკითხია. სოჭაში კომისიის წევრები დაესწრნენ ეკატერინოდარში ტყვეების გაგზავნას, რომელთა შორისაც იყვნენ ქალე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი. შემდეგ გამოირკვა, რომ ტყვეები იყვნენ წევრები და თანამშრომლები შავი ზღვის მხარის განთავისუფლების კომიტეტისა სამარინის თავმჯდომარეობით. ტყვეებთა შორის იყო სოჭის რევ. კომიტეტის ყოფილი გამგე ტერ-გრიგორიანი. რუსეთის კომისია ბათომიდან ევროპაში მიდის ინვალიდთა საერთაშორისო ყრილობის მოსაწყობათ.

**სოციალური დახმარება.** სოციალ დახმარების კომიტეტში იხილავენ საკითხს იმ პირთა ქვეშევრდომობის შესახებ, რომელნიც შუამდგომლობდენ დახმარების შესახებ. დაადგინეს ჩამომავლობით ქართველთ არ სთხოვონ იმის საბუთი, რომ ის საქართველოს ქვეშევრდომია, არა ქართულ ჩამომავლობის მთხოვნელებმა კი უნდა წარმოადგინონ ოფიციალური მოწმობები მათი ქვეშევრდომობის შესახებ. ამის შემდეგ სოციალურ დახმარების კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება უარი უთხრან დახმარებაზე იმ ინვალიდებს, რომელნიც ეხლა სამსახურში იმყოფებიან და აგრეთვე არ შეამოწმონ შრომის უნარის დაკარგვის დასამტკიცებლად ის პენსიონერები, რომელთაც 55 წელს მიაღწიეს.

**უმაღლესი საბჭო საპყრობილეთა საქმეებისა.** იუსტიციის სამინისტრომ საპყრობილეთა საქმეების უმაღლეს საბჭოს დაარსების კანონ-პროექტი შეიმუშავა. საბჭოს შემადგენლობაში შედიან: საპყრობილეთა ინსპექტორი, და დაინტერესებულ უწყებების, ქალაქის ერობების და საზოგადო ორგანიზაციების წარმომადგენლები. საბჭო სას. მართლ. პალატის პროკურორის და იუსტიციის მინისტრის მიერ დანიშნულ პირის თავმჯდომარეობით მოქმედებს. საბჭო არის მხოლოდ სათათბირო ორგანო.

**გამოცდები გზათა ტეხნიკოსის ხარისხზე.** დღეს, 22 ივნისს, იწყება გამოცდები გზათა ტეხნიკოსის ხარისხზე. გამომცდელ კომისიაში შედიან პოლიტეხნიკურ სასწავლებლიდან: დირექტორი ინჟ. ვ. კაკაბაძე, მასწავლებელნი: ინჟ. ვ. ავალიანი და ინჟ. გ. სარქისოვი; გზათა დეპარტამენტიდან: ინსპექტორი ინჟ. ნ. გვარამაძე, ახალ რკ. გზათა განყოფილების უფროსი ინჟ. კრანცი და გზა-ტკეცილების სამმართველოს ტეხნიკური განყოფილების უფროსი ინჟ. ოლევსკი.

**სოციალური დახმარება.** პროფეს. კავშირთა საბჭომ 16 ივნ. სხდომაზე მიიღო დადგენილება იმის შესახებ, რომ მცხოვრებთა სოციალური ყოველი დახმარება უნდა იყოს იყო სოციალურ დახმარების ცენტრალურ საზოგადოების ხელში, სადაც უნდა შედიოდეს ტფილისში არსებულ სოციალურ დახმარების ყველა ორგანიზაცია.

**საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლის ჩამოსვლა.** კვირას, 20 ივნისს, ტფილისში ჩამოვიდა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი ს. მ. კიროვი. რუსეთის წარმომადგენლებს შეხვდენ საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი ნ. ქარცივაძე, ტფილისის კომენდანტი გენ. მიქაშავიძე, გვარდიის დივიზიონის საპატიო ყარაული მუსიკით. მისიის დასაბინავებელ შენობასთან მათ შეხვდენ რუსეთის მოქალაქენი. ს. მ. კიროვმა მათ მისასალმებელ სიტყვით მიმართა, რომელიც რუსეთის და „საქართველოს დემოკრატიის" დღეგრძელობის სურვილით დაასრულა.

## მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ

### პარკისა და აბრეშუმის შესყიდვის წესები.

1. პარკის და აბრეშუმის შესყიდვის უფლება აქვთ იმ საეროზო ორგანიზაციებს, კოოპერატივებს და კერძო პირთ, რომელთაც ეს დავალებული ექნებათ სამინისტროდან.

2. როგორც აღნიშნული ორგანიზაციები ისე კერძო შემყიდველები ვალდებულნი არიან შეთანხმებულათ იმოქმედონ, პარკის ოპერაციის საქმეში.

3. მეაბრეშუმებს ფუთ პირველ ხარისხის ნედლ პარკში მიეცემათ სამი ათასი მანეთი, მეორე ხარისხის პარკში 2800 მან. და მესამე 2500 მან.

4. პარკის მიმღებთ ევალებათ იქონიონ მთავარ რწმუნებულის მიერ გამოცემული საკვიტანციო წიგნაკები, რომლიდანაც მეაბრეშუმეს ეძლევა პირადი კვიტანცია მიღებულ პარკის და ფულის რაოდენობის აღნიშვნით.

5. მეაბრეშუმენი ვალდებულნი არიან შეინახონ კვიტანციები თორემ მთავრობის მიერ დადგენილ მოგების ნაწილს ვერ მიიღებენ.

6. იმ ორგანიზაციებს და კერძო პირთ, რომელთაც სამინისტროსაგან არა აქვთ დავალებული პარკის შესყიდვა, სასტიკათ ეკრძალებათ ბაზარზე მყიდველებათ გამოსვლა და პარკის ყიდვა, ვინაიდან პარკზე მონოპოლია არის გამოცხადებული.

7. ამ დადგენილების მე-6 მუხლის დამრღვევნი პასუხის გებაში იქნებიან მიცემული სისხლის სამართლის წესით, ხოლო შესყიდული პარკი კი ჩაერთმევათ უფასოთ.

### აბრეშუმის პარკის ფასები.

როგორც მოსალოდნელი იყო აბრეშუმის პარკის ფასები, ახალი მოსავლის წინ ცოტათი დაეცა, მაგრამ უცხოეთიდან მოსულ დეპეშების ცნობებმა ყოველ მოლოდინს გადააჭარბა: აპრილსა და მაისს პარკის ფასები მარსელში 96 ფრანკამდე ავიდა, მაგრამ როგორც კი გამოირკვა, რომ პარკის ახალ მოსავალს ყველა საბრეშუმო ქვეყნებში კარგი პირი უჩანს, მსოფლიო ბაზარზე ფასების დაცემამ კატასტროფიული ხასიათი მიიღო და 300%-ზე მეტით დაიკლო, ამ უკანასკნელ დღეებში ორი დეპეშა მივიღეთ მარსელიდან —პირველის ცნობით ახალ შემოსული პარკი —15 ფრანკათ იყიდება კილო, ხმელი 45 ფრანკათ; მეორე დეპეშის ცნობით ნედლი პარკის ფასები 12 ფრანკამდე დაეცა და ხმელის—35 ფრანკამდე, მოსალოდნელია ფასების კიდევ დაცემა, ძაგრამ მიუხედავათ მსოფლიო ბაზრის ცუდი მდგომარეობის (კონიუკტიურისა) მთავრობამ მაინც გამოაცხადა პარკზე შემდეგი ფასები, რომელიც მას შემუშავებული ჰქონდა მსოფლიო ბაზრის მარტის და აპრილის მაღალი ფასების მიხედვით: ნედლი პარკი ფუთი პირველი ხარისხის 3000 მანეთი, მეორესი—2800 მანეთი და მესამესი —2500 მანეთი. აღნიშნული ფასები მიეცემა მეაბრეშუმეებს რესპუბლიკის ყველა რაიონების პარკის ბაზარზე.

გარდა ამისა, თუ პარკის ფასი შემდეგში აიწევს და ამ ოპერაციიდან მოგება დარჩება, მოგების 30%, როგორც ეს მთავრობას უკვე დადგენილი აქვს, დამატებით მიეცემა მეაბრეშუმეებს.

## ე რ ო ბ ა

### ყარაიაზის რაიონი.

ტფი[illegible]ო ერობის წევრმა, კანდელაკმა, რომელიაც შეისწავლა ყარაიაზის რაიონი, თავის მოხსენებაში ტფილისის სამაზრო ერობას წინადადება მისცა კულტურულ მუშაობის გასაძლიერებლად აუცილებელ ზომების მიღების შესახებ. ამ ზომათა შორის იგი მიუთითებს ერთ საჭიროებაზე: მისცეს წინადადება სამაზრო მილიციის უფროსს, მიაქციოს უმთავრესი ყურადღება ყარაიაზის რაიონში ყაჩაღთა ბანდების მოსპობას, გასწმინდოს რაიონი შიხლელებისაგან, რომლებიც საქართველოს მტერის მხარეზე გადავიდენ, მოაწესრიგოს მილიცია, დაიცვას საზღვარი სამხედრო ნაწილების საშუალებით, გაიყვანოს ტელეფონის ხაზი, რომელიც სადარაჯო პოსტებს შეაერთებს, მოიწვიოს გადამსახლებელ კომიტეტში ერობის წარმომადგენლები, გააუმჯობესოს გადასახლებულთ პირობები, გაუწიოს მათ დახმარება სასოფლო-სამეურნეო მანქანების მიწოდებით, მოაწყოს აგურის ქარხანა და გააუმჯობესოს რაიონში მოსამსახურეთა მდგომარეობა, ყველა ამ ზომის განხორციელებამდე დანიშნოს სპეციალური კულტურულ-ეკონომიური კომისია, რომელშიდაც შევლენ მუსულმანების და გადასახლებულთა წარმომადგენლები. ტფილისის ერობა დიდი ყურადღებით მოეპყრა ამ საკითხს და მიანდო ადმინისტრატიულ განყოფილებას შესაფერ ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა.

## მუნიციპალ. ცხოვრება

### ოზურგეთის ქალაქის საბჭოში.

უკანასკნელი დადგენილებანი:

საბჭოს 26 აპრილის დადგენილება დ. კლდიაშვილის ქუჩაზე ფარდულის აგებისა ხელმეორეთ იქნას დასმული მომავალი სხდომის დღის წესრიგში და მანამ კი შეჩერდეს დადგენილების სისრულეში მოყვანა. სანიტარულ კომისიას ევალება ამ კითხვის დეტალურათ შესწავლა და თავისი დასკვნის წარმოდგენა საბჭოსადმი მახლობელ სხდომაზე.

— დამტკიცებულ იქნას ხორცზე შემდეგი ნიხრი: ძროხის ხორცი 1 ხარისხის (არდაგანის) 1 გირ. 35 მ., 1 ფ. 1300 მ. ძროხის ხორცი 2 ხარისხის (ადგილობრივი) 1 გირი 30 მ., 1 ფ. 1000 მ. კამეჩის ხორცი 3 ხარისხის 1 გირ. 25 მ., 1 ფ. 900 მ. ცხვრის ხორცი 1 ხარისხის 1 გირ. 38 მ. ღორის ხორცი 1 ხარასხის 1 გირ. 38 მ.

— ქალის სასაკლაოზე ქალაქის სასარგებლოთ დაწესებულ იქნა 20 მაისიდან შემდეგი გადასახადი: კამეჩი—75 მან., ხარი—60 მან., ძროხა—50 მან., მოზვერი, დეკნა—30 მან., თხა, ცხვარი—30 მან., ღორი—30 მან., ხბო—15 მან., კრავი, თიკანი, გოჭი—10 მან.

— მიღებულ იქმნა შემოსავლის შემდეგი მუხლები:

1) უძრავ ქონებიდან შეფასებითი გადასახადი 190567 მან. 2) ვაჭრობა-მრეწველობიდან 122550 მან. 2) სხვა და სხვა ბაჟების სახით 100 მან. 5) ქალაქის მამულებიდან 170401 მან. 6) ქალაქის მუნიციპალურ დაწესებულებისაგან 3535236 მან. 7) დახმარება, ხარჯების ანაზღაურება და სესხი მთავრობისაგან 587100 მან. 8) სხვა და სხვა შემოსავლის სახით 142918 მან. სულ 4748872 მან.

— მიღებულ იქნა გასავალის შემდეგი მუხლები:

თვითმართველობის მოსამსახურეების შენახვა 708800 მან., ქალაქის მილიციის შენახვა 496000 მან., ცეცხლის მქრობელი რაზმის შენახვა 116350 მან., ქალაქის მოწყობა 626237 მან., ქალაქის მუნიციპალური დაწესებულების შენახვა 1491588 მან., სახალხო განათლება 210560 მან., საექიმო, საბეითლო და სანიტარული განყოფილება 209000 მალ., ქალაქის გადასახადები 1200 მან., ქალაქის ქონების მოვლა, მოწყობა და შენახვა 246278 მან., ქალაქის ვალების გადახდა 35195 მან., სხვა და სხვა ხარჯები 607664 მან. სულ 4748872 მან.

## ფოსტა-ტელეგრაფში

### განმარტებითი ბარათი ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის უწყების შემოსავლის აღრიცხვისა 1920-1921 წლისათვის.

ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის შემოსავლის აღრიცხვის მუხლები 1920-1921 წ. როგორც 1919-1920 წ. განიყოფებიან პარაგრაფათ:

მეცხრამეტე პარაგრაფშია მოხსენებული ფოსტის ყოველგვარი შემოსავალი. მეოცე პარაგრაფშია მოხსენებული ტელეგრაფის და ტელეფონის შემოსავალი. მეოცდაორე პარაგრაფშია მოხსენებული უწყების სახაზინო შენობის გაქირავებისაგან შემოსული თანხა და აგრეთვე თანხა ფოსტის თანამდევ საბუთების, ტელეგრაფის ტარიფების, მარკების და სხვა გამოცემის გაყიდვისაგან შემოსული.

მეოცდათორმეტე პარაგრაფშია მოხსენებული ყველა დაბრუნებული სესხის გაცემული და დანახარჯი თანხები.

მეოცდათოთხმეტე პარაგრაფშია მოხსენებული ყოველგვარი წვრიმალი შემოსავალი.

ყველა ამ პარაგრაფებში მოხსენებული შემოსავალი ნავარაუდევია სულ 41660256 მან. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ უწყების საქმე თანდათან ეწყობა და ნორმალურ კალაპოტში დგება და დღიური შემოსავალი ტარიფების გადიდების შემდეგ თანდათან მატულობს. მოსალოდნელია, რომ შემოსავალმა ზემოაღნიშნულ თანხას გადააჭარბოს.

ცალცალკე პარაგრაფებით წლიური შემოსავალი განაწილდებიან შემდეგნაირათ: § 19. ნიშნების პერიოდული გამოცემის გადაგზავნისაგან და საერთაშორისო ფულის ბარათების გაგზავნისაგან შემოსული და ფოსტის ეტლით მოგზაურთაგან აღებული საგზაო ფასი—8712840 მან. § 20. გაგზავნილ დეპეშებიდან და ტელეფონის სადგურების ექსპლოატაციისაგან შემოსული თანხა, სულ-32874010 მან. § 22. სახლების ქირები და სხვა და სხვა გაყიდულ ბლანკების და გამოცემის ფასი სულ—12600 მან. § 31. დაბრუნებული სესხათ გაცემული და დანახარჯი თანხები 00 მ. 00 კ. § 34. სხვა და სხვა წვრიმალი შემთხვევითი შემოსავალი—24000 მან. და სულ ყველა პარაგრაფით ნავარაუდევი შემოსავალი—41660256 მანეთი.

ზემოხსენებული ანგარიში წარმოებულია იმის მიხედვით, თუ რა შემოვიდა ამა წლის იანვრის თვის განმავლობაში რომელიც გამრავლებულია თორმეტზე და გამრავლების შემდეგ მიღებულია 41550238 მან. სწორედ ის თანხა, რაც ნავარაუდევია ჩვენ მიერ წლის განმავლობაში, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უწყების საქმის ნორმალურ კალაპოტში ჩადგომის შემდეგ და ამა წლის პირველ იანვრიდან საფოსტო, სატელეგრაფო და სატელეფონო ტარიფის გადიდების გამო მოსალოდნელია ამ თანხის ბევრათ გადიდება.

## ფრონტისათვის

### ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტის ფულითა და ნივთებით შემოწირულებათა ანგარიში.

ელ. ჩხეიძე, გენ. ქავთარაძემ, კირიჩენკომ, 100 მან. თვითეულმა; შავიძემ 50 მან., პილნიკოვმა 500 მ., მუხაძემ, უცნობმა 100 მან. თვითეულმა, ამ. ასიპოვმა 500 მ., ან. ქავთარაძემ, ივ. ტერ-მინასიანცმა, №-მა, მ. მაცანიანმა 100 მან. თვითეულმა, ი. გოგოლაშვილმა 500 მ., ლ. გოგებაშვილმა, ს. თავართქილაძემ 100 მან. თვითეულმა, №--მა 1.000 მ., დ. კოპლაძემ, ი. ჰიჰინაძემ, ნ. ხუროშვილმა, ან. აბაიშვილმა, ი. ქათამაძემ, ტ. სარავამ, ან. კალანდაძემ, მ. თოიძემ, ნ. ძაგანიამ, ვაშაკიძემ, კიკნაძემ, გიორგიადი, ნ. გეორგოვმა, ლვინერიამ, რატიანმა, აკ. საჯაიამ, მ. კერესელიძემ, შირაზიანცმა, კოგუამ, ნ. არზიანი, ერ. გორდაძემ, ბ. ადამიამ, ს. პალასანოვმა, ბ. ბერიძემ, ი. ღლონტმა, გუგუციძემ, ნ. ჰრელაშვილმა, დავიდოვმა, გვანცელაძემ, აბაიშვილმა, ცეიდორფმა, შარუმაშვილმა, არაბაზოვმა, ტოგონიძემ, ე. ყასაშვილისაგან, ა. არჩვაძესაგან, კაზეპინსკისაგან 50 მან. თვითეულმა. გრ. სხირტლაძემ, ვ. ბურდილაძემ, გ. ყურაშვილმა, ს. კოტრიკაძემ, ტ. სურტიამ, ტკაჩოვმა, ვ. ბაღავაძემ, ი. აზარაროვმა, ბ. ასანიძემ, ა. შაზიმოვმა, მარტიროზოვმა, მ. იოსელიანმა, დ. საფაროვმა, ავეტისოვმა, უცნობისაგან, ა. ალანიამ და ა. გაუნაშვილმა 100 მ. თვითეულმა. გორდეზიანმა, მ. გიორიადიმ და დ. ქიტოაშვილმა 30 მან. თვითეულმა. ნ. ბადირაშვილმა და ა. კილასონიამ 200 მან. თვითეულმა. შახბაზიანმა, ლაშხიმ, ერ. ბესელი, ლობჟანიძემ 25 მან. თვითეულმა. ნადირეიშვილმა, მ. ყიასაშვილმა, მ. ყიასაშვილმა, თ. რატუშენკომ და ვ. გოგიაშვილმა 10 თვითეულმა. შარაფიანცმა, ხამაშურიძემ, იზრაილიდიმ და ოდ. ფურცელაძემ 20 მ. თვითეულმა. ბაიალდუანმა 40 მან., აბაზოვმა, შეიხ-ულ-ისლამოვმა, ს. ვერეშჩაგმა, და ალიევმა 500 მან. თვითეულმა. კარაევმა 200 მ., ოდ. დიმიტრიევმა 15 მ., ვლ. სვიმონიშვილმა 10 მან., მუხრანსკისაგან 250 მან.

ტფილისის მაზრის საერობო საჩურსათო განყოფილებიდან: შაქარი 1 ფუთი (რაფინ.) 20 გირვ., პაპიროსის ქაღალდი 3 ყუთი, ასანთი 372 კარ.

ვაჭრობა-მრეწველობის პალატა—საჩუქრები 13 ყუთი 2000 ცალი, გალეტი 2 ყუთი $3^1/_2$ ფუთი, მომპასიე 2 ფუთი. კონიაკი სარაჯევისა 300 ბოთლი, თხილი 10 ტომარა 40 ფ. საპონი 11 ყუთი 22 ფუთი, თუთუნი 3 ყუთი 10 ფუთი, ნამცხვარი 3 ყუთი $7^1/_2$ ფუთი, ასანთი 1 ყუთი (700 კოლ.), სხვა და სხვა ნივთები 3 ყუთი 5 ფუთი.

ვაჭრობა-მრეწველობის პალატამ გაგზავნა ფრონტზე: თხილი 22 ტომარა, ხელის საპონი 9 ცალი, პაპიროსი 500 ცალი, ცხვირსახოცი 1 შეკვრა, სხვა და სხვა ნივთები.

პროფესიონალური საბჭოსაგან: სარეცხი საპონი 50 ფუთი, ხელის საპონი 1000 ნაჭერი, პაპიროსი 400,000 ცალი, კონვერტები 50,000 ცალი, ფანქარი 5000 ცალი, ასანთი 2000 მ., ხელსახოცი 3000 მ., სოხუმი—150 ფუთი, ღვინო 35 ვედრო, კონიაკი 200 ბოთლი.

კოოპერატივთა კავშირისაგან: ქაღალდი—5 ფუთი, სელიოტკა—2 ბოჩკა—(42 ფ.) პაპიროსის ქაღალდი—20 კოლოფი, ფოსტის ქაღალდი—20 კომპლექტი, ასანთი—2 კ., შაქარი (რაფ.)—6 ფუთი, ძაფი—№ 40 თეთრი 30 დიუჟ., შავი—დიუჟ., ფანქარი—10 დიუჟ.

ოფიცერთა ეკონომიური საზოგად.: ღვინო ბოთლებით—5 ფუთი, ასანთი—1 ფ.

ზემო სოლოლაკის მოქალაქეთაგან: მახორკა—31 პაჩკა, პაპიროსი—50 კ., თუთუნი—17 პაჩ., ასანთი—100 ცალი, კონვერტი—50 ცალი, პაპიროსის ქაღალდი 25 წიგნაკ.

მოწაფეებიდან—23 საჩუქარი პარკებში.

## წერილი რედ. მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ დაუთმოთ ადგილი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზე, ქალ. ქალნჩხუთის დედათა და ბავშვთა დამცველ საზოგადოების განყოფილების მიერ, 20 მარტს, მიწის ძვრისაგან დაზარალებულ გორელების სასარგებლოთ გამართულ საღამოის შემდეგ ანგარიშებს:

შემოწირულება გაიღეს საპატიო ბილეთების სახით:

კატო ფხაკაძემ—150 მან., ოლია ლეკვეიშვილმა 150 მან., ილიკო თარგამაძემ 150 მან., მიხეილ კოსტან. ებრალიძემ 100 მან.,

ქიონია სამსონიამ 100 მან., პანტელეიმონ ცინცაძემ 100 მ., ნიკო ჭეიშვილმა 100 მ., ელისე მახარაძემ 200 მ., მიხეილ მეცხრიკაძემ 150 მან., ლადიკო შარაბიძემ 200 მ., ლადიკო წულაძემ 150 მ., აკაკი ჩხაიძემ და გრიგოლ სამს. ხუნდაძემ 250 მ., პლატონ ჟორდანიამ 100 მ., ევგენი გალიცკიმ 100 მან.,, მარკ რადინმა 100 მ., დიმიტრი ცინცაძემ 100 მ., კოლია წილოსანმა 150 მ., ლასა ებრალიძემ 200 მ., სევერიანე შარაშიძემ 100 მ., დათიკო წულაძემ 100 მ., დეკ. ეპიფანე ჩხაიძემ 100 მ.,. მღვდ. ხომერიკმა 100 მან., აფრასიონ ურატაძემ 200 მ., ალექსი ბელეშაძემ 150 მან. სულ 3300 მ.

ბილეთების 3090 მან., ბუფეტმა 15610 მ., სხვა და სხვა გასართობებმა 3732 მ., დარჩენილ სანოვაგისაგან 3120 მ., საერთო შემოსავალი უდრის 28,852 მან.

ხარჯების რაოდენობა 14,080 მან. წმინდა შემოსავალი დარჩა 14,772 მ. აქედან 10,000 მანეთი გადაგზავნილ იქნა დანიშნულებისამებრ დადანარჩენი 4,772 მან. გადარიცხულ იქნა ადგილობრივ დედათა და ბავშვთა დამცველ საზოგადოების განყოფილების ფონდის გასაძლიერებლათ. სალამოს მომწყობი კომისია მადლობას სწირავს საერთოდ შემომწირველთ და ყველა იმ პირთ, ვინც სხვა და სხვა დახმარების სახით ხელი შეუწყვეს სალამოს მოწყობა.ჩატარებას.

ლანჩხუთის დედათა და ბავშვთა დამცველი საზოგადოების განყოფილების გამგეობა.

## განცხადებანი

მე-10, 11 და 12 უბ. გადასახადთა ბიუროს აგენტი ამით აცხადებს, რომ არუთინ ნიკოლოზის ძე ტერ-ხაჩატუროვს დაეკარგა: 1) პირადობის მოწმობა № 250, რომელიც მიღებული აქვს კოროჯოროძის, ეჩმიაძინის მაზრა, ერევნის გუბერნია, სოფლის კომისარისაგან და 2) ჩემზენით მიცემული 19 ნოემბერს 1919 წ. № 882 მოწმობა, რომ იგი ტერ-ხაჩატუროვი მსახურობს დეზერტირის ბაზარში მეეზოვეთ. ამ მოწმობების მპოვნელს ვთხოვ წარმოადგინონ ხსენებულ აგენტის კონტორაში ჩერქეზიშვილის ქ. № 87—წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ითვლება. 1491 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი ანდრეევის ქ., № 91, მდებარე სახლი, რომელიც ეკუთვნის მართა ბაგდანოვის ასული გაუს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1505 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული გვარდიის მთავარ შტაბის საექიმო სასანიტარო განყოფილებიდან და სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან მიღებული მოწმობა—დომენტი გიორგის ძე ჩოგოვაძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1536 3—2

დაიკარგა პასპორტი, მიღებული სიღნაღის ქალაქის თვითმართველობიდან, მეტრიკული ამონაწერი—1896 წელს 25 მაისს დაბადების და სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, მიღებული სიღნაღის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან გიორგი დავითის ძე ოტიაშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1534 3—2

დაიკარგა 1914 წ. ქუთაისის რეალური სასწავლებლის დამთავრების ატესტატი და მოწმობა ვასილი ალექსანდრეს ძე გვიჩიას სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1535 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა ვასილი ზაქარიას ძე იოვაშვილის სახელზე, მიღებული ტფილისის ქალაქის მილიციის უფროსის სამმართველოდან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1540 3—2

დაიკარგა ქალაქის გამგეობის მიერ გაცემული საჩაიეს გახსნის ნებართვა. 5 აპრილი № 820. ასად ულა თეუმურ-ოღლის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 4546 3—9

დაიკარგა ჯვადო პასპორტი № 3668 მარიამ ანდრია ავდეევის ასულის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტერის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1547 3—2

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა № 2593 მიხეილ ყაზარის ძე მანუჩარიანცის სახელზე, მიღებული ტფ. სომხეთა კონსისტორიისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1548 3—2

გუდაუთის უბნის, სოხუმის მომრიგებელი მოსამართლე სამ. კან. 58, 58[1], 295 და 3 პ. 299 მ. ძალით იწვევს ინჟენერ-ტეხნოლოგს ლიუდვიგ ივანეს ძე ვარონიჩს, რომელსაც უჩივის მიხეილ ვართანის ძე ბუზ-ოღლი 40 ათას 365 მან. საგირაო ნასყიდობის სიგელით. თხოვნასთან ერთად წარმოდგენილია საგირაო სიგელის პირი. 0470 1-1

1919 წ. მარტის 7-ს ტფილისის ოლქ. სასამ. დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი მორდკო-არონ იანკელის ძე ვახნიანსკის. 0451 1—1

1920 წ. თებერვლის 23-ს სოხუმის ოლქ. სასამ. დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი იოანე ფილიპეს ძე ფილიპიდის. 582 1—1

1920 წ. მარტის 29-ს სოხუმის ოლქის სასამართლომ დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი კონსტანტინე ივანეს ძე პარასკევის. 583 1—1

ანნა გოგიევი (იგივე გოგიაშვილისა) აცხადებს, რომ ნასყიდობის სიგელი მიხეილ ილიას ძე გოგიევისა, ჩაწერილი ტფილისის უფროს ნოტარიუსის ქ. თელავზე მიწერილ სიმტკიცის წიგნში 1919 წ. № 17, გვ. 65—68, დაიკარგა რაიც გაუქმებულად ჩაითვალოს. 1562 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი 1919 წლის, ფეოდოსიის ქუჩა, № 20 მდებარე სახლისა, რომელიც ეკუთვნის ს. ხუხუნაიშვილს, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1565 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი, გაცემული სამტრედიის თვითმართველობის მიერ 1914 წელს დიმიტრი ანთიმოსის ძე სიხარულიძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1566 3—1

დაიკარგა მოწმობა № 5083 ისაკ აბრამის ძე გუნდიაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1551 3—1

დაიკარგა ჯვადო პასპორტი № 53 ალექსანდრე ვასილის ძე გროდსკის სახელზე, მიღებული ტფ. სამაზრო მილიციილის უფროსის სამმართველოდან 1918 წ., მეტრიკული მოწმობა და ქორწინების მოწმობა, მიღებული სამხედრო სობოროდან, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1556 3—1

სიმონ სპირიდონის ძე ესაძე აცხადებს რომ მან დაკარგა ნასყიდობის სიგელი დამტკიცებული ტფილისის სისხლ. და სამოქალაქო სასამართლოს პალატის მიერ 10 დეკემბერს 1857 წელს № 267 შესახებ სახლისა ეზოთი, მე-9 ნაწ. ქ. ტფილისისა რეუტოვის ქ. № 4, ნაყიდი ეკატერინე პეტრეს ასულის არღუთინსკი-დოლგორუკის მიერ ისააკ ეგორის ძე გურგინბეკოვისაგან, და პირი მფლობელობაში შესაყვან ქაღალდისა 26 აპრილიდან 1858 წ. № 1836 შესახებ ეკატერინე არღუთინსკი-დოლგორუკის ამ მამულის მფლობელობაში შეყვანისა. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1539 3—1

დაკარგულია ნამსახურობის სია კავკასიის ქალთა ყოფილ ინსტიტუტის მუსიკის მასწავლებლისა ანა გიორგის ასულ მაჩაბელისა მოცემული ამავე ინსტიტუტის გამგეობის მიერ გაუქმე. შულათ ჩაითვალოს. 1541 3—1

დაიკარგა პასპორტი ვაგარამ ნიკიტის ძე კაიფაჯიინცის სახელზე, მიღებული ახალციხის მაზრის სამმართველოდან 1910 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1481 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა პიმენ მიხეილს (იგივე ივანეს ძე) ასათიანის სახელზე, მიღებული ქუთაისის მაზრას სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან 1917 წ. 20 მაისს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1570 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა № 6786. შალვა იპოლიტეს ძე ალხაზიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებული ჩაითვალოს. 1572 3—1

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი დამტკიცებული ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 1912 წ. № 3164 აკაკი გაბრიელის ძე ოთხმეზურის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1542 3—2

დაიკარგა დროებითი მოწმობა № 1406 ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე პეტროვის სახელზე, მიღებული ალექსანდროპოლის ქალაქის მილიციის სამმართველოდან, გაუქმებულად მაითვალოს. 1530 3—3

დაიკარგა: 1. მოწმობა, მოცემული ხანასორის ბატალიონიდან; 2. ჯვრების მოწმობა; 3. ჭრილობის მოწმობა, 1-ლი კომისიის ჩიერ მოცემული; 4. ტფ. გუბერნიის კომისარისაგან მოცემული მოწმობა, ადგილობრივ ცხოვრების და 5. ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის ბარათი—ტიგრან ოგანიანის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. უფ. 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი რუსთაველის პროსპექტი, № 16 მდებარე სახლისა, რომელიც ეკუთვნის გოგრელაშვილს, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1490 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი, გაცემული ტფილისის პოლიცმეისტერისგან დავით გრიგოლის ძე სალაღოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1393 3—3

დაიკარგა ატესტატი, მიცემული ოზურგეთის საქსოვ სახელოსნოდან ეკატერინე (ქეთევან) ვლადიმერის ასულის რამიშვილის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1503 3—3

ნავთლუღის რკინის გზის გვარდიელი დირიან ერმალოს ძე პაიჭაძე აცხადებს, რომ 15 ივნისს მას გაუტეხეს სახლი, ბოროტ გამზრახველებმა სხვა ნივთებთან ერთად წაიღეს პასპორტი, მოცემული ერკეთის საზოგადოების სამმართველოს მიერ, სოც. დემ. პარტიის წევრობის მოწმობა, რკინის გზის უფასო ბილეთი სურათით და რევოლვერ „კოლტის" ტარების ნებართვა. საბუთები გაუქმებულად ჩაითვალოს. 3—2

დავკარგე პიროვნების მოწმობა № 266 მიღებული კოხნარის ერობისაგან ილიკო მასიკოს ძე გიორგაძის სახელზე. გაუქმებულაო ჩაითვალოს. 1459 3—2

სავაჭრო სასურსათო საზედამხედველოს აგენტ ის. რამიშვილს სალდათის ბაზარზედ ჯიბიდან ამოაცალეს საზედამხეოველოს ბეჭედი ზედ წარწერით: „Торговый комисаръ Т. Г. О. С." რაც ცხადდება გაუქმებულად. 649 3—2

დაიკარგა პასპორტი მარტინ სერგის ძე მარკარიანცის სახელზე მიღებული ოდესის ქალაქის უფროსისაგან (გრადონაჩალნიკისაგან) 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1419 3—3

დაიკარგა ბათუმში წასვლის ნებართვა გიორგი თედორეს ძე ლაზარიდის სახელზე მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1525 3—2

დაიკარგა პასპორტი ნიკოლოზ აბრამის ძე კაზარიანცის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტერის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1521 3—2

დაიკარგა პასპორტი ალექსანდრე იორდანეს ძე მაჩალაძის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან 1919 წელს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1523 3—2

დაიკარგა სიმტკიცის მოწმობა, აღნიშნული ტფილ. ოლქ, სასამ. უფროსი ნოტარიუსის მიერ 1917 წ. მაისის 4-ს, რეესტრი № 1218 მარიამ არტემის ასულის ბუდაგოვას სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1510 3—2

დაიკარგა ხუთწლიანი პასპორტი, მიღებული ასხაბადის პოლიციის სამმართველოდან 1919 წ. ივლისის 20-ს, № 1439 ილია იოსების ძე აბრამოვის (იგივე გრენოვი) სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1508 3—2

ტფილისის ოლქის სას. 29 დეკემბერს 1919 წ. განიხილა რა საქმე გარდაცვალ. 7 აპრილს 1919 წ. პეტრე ივანეს ძე პაროშინის შინაურთ სასულიერო ანდერძის დამტკიცების შესახებ დაადგინა: სისრულეში მოყვანილ იქმნას. 1518 1—1

1920 წ. თებერვლის 18 ქუთაისის ოლქის სასამართლომ, დაამტკიცა შედგენილი 14 იანვარს 1913 წ. 1 ნოტარიალური სასულიერო ანდერძი გარდაცვალებულის 13 მაისს ძველი სტილით 1919 წ. მცხოვრების ქ. ქუთაისში ფილიპე ჭეიშვილის. 623 1—1

დაიკარგა ახალციხის ქალაქის გამგეობის მიერ პირველ ივნვარს 1920 წ. № 1286 პასპორტი და სამსახურის ნუსხა გაცემული ახალციხის სემხედრო უფროსის მიერ პირველ მაისს 1920 წ. № 3 პავლე იოსების ძე ლალებაშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1543 3—2

დაიკარგა ტფილისის ქალაქის გამგეობიბ მიერ მიცემული ვაჭრობის ნებართვა, ალექსანდრე გიორგის ძე ჯაფარიძას სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1449 3—3

დაიკარგა ტფილისის ვაჟთა მე-5 გიმნაზიის კანცელარიის მიერ გაცემული მოწაფეების მოწმობა № 36, ლევან სიმონის ძე ფორაქიშვილის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1456 3—3

დაიკარგა პასპორტი, გაცემული ზესტაფონის მაზრის სამმართველოდან 1012 წ. ვარლამ სანდროს ძე მაჭავარიანის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1451 3-3

დაიკარგა მოწმობა № 1256 ნადეჟდა მიხეილის ასული ზემცოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1522 3—3

დაიკარგა პასპორტი საак ნიკიტას ძე ზურაბიანის სახელზე, მიღებული ჯალალოღლის საზოგადოების სამმართველოდან 1913 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს 1533 3—2

დაკარგულია ნასყიდობის სიგელი ვლადიმერ მიხეილის ძე მოსკალენკოს სახელზე, მიღებული ტფილ. ოლქ. სასამ. უფროსი ნოტარიუსისგან 1902 წლ. ივლისის 4-ს, რესტრი № 3, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1436 1—1

დაკარგულია პასპორტი № 2429, მეტრიკული მოწმობა № 150 და სამხედრო ბეგრის მოწმობა № 375 არუთინ არაქელის ძე გრიგორიანცის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1420 3—1

ახალციხის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს დაბა აბასთუმნის მცხოვრებს, კონსტანტინე ივანეს ძე სტუპიადის პასუხის მისაცემათ სასამართლოს წინაშე. 502 1—1

ახალციხის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ გეორქ არუთინის ძე კრტიანცის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლებები გარდაცვალებულის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხლის ძალით აღნიშნულ ვადაში. 501 1—1

დაიკარგა აღმასრულებელი ფურცელი № 16073, მიღებული ტფილ. ოლქის სასამართლოდან ანნა რუდოლფის ასულის სიმონოვის სახელზე, რომელსაც ნიკოლოზ სიმონოვისთვის უნდა გადაეხდევინებია 6500 მ. მპოვნელს თხოვს დაუბრუნოს შემდეგი მისამართით: ახალქალაქი, მაზრის კომისარს, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1146 3—1

დრანდის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს ექვსი თვის ვადაში დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში, გარდაცვალებულ პავლე არახამიას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება არახამიას ქონებაზე 118

**საქართველოს მუზეუმის შენობისათვის საჭიროა სქელი**

# გასახვევი ქაღალდი

„ბიბულა''-დ წოდებული. ცნობების მიღება: საქართველოს მუზეუმის სააღმშენებლო კომისიის კანცელარიაში (ლორის-მელიქოვის ქუჩა № 10) ყოველ სამუშაო დღეს დილის 9—2-მდის. 1567 3—2

# ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს რომ, 1920 წ. ივნისის 24-ს დილით 12 საათზე ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია (თვითმართველობის შენობა, თავისუფლების მოედანზე) საჯარო ვაჭრობა ქ. სასწორზე რომელიც მდებარეობს მოლოკანის მოედანზე მე-11 უბანში, იჯარით გასაცემათ. პირობების გაცნობა და საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის საიჯარო და საადგილ-მამულო განყოფილებაში ნაშუადღევის 1—2 საათზე.

1654 3— **ქალაქის გამგეობა.**

სახელმწიფო სტამბა. რედაქტორის მოვალ. ასრ. გრიგოლ მაჭავარიანი.